კავკასიის ფრანგული სკოლა

ÉTABLISSEMENT CONVENTIONNÉ aefe Agence pour l'enseignement français à l'étranger

# კავკასიის ფრანგული სკოლის შინაგანაწესი

*შესავალი :*
« ყოველ ადამიანს აქვს უფლება ისეთ წესრიგზე, რომლის პირობებშიც შესაძლებელია ამ დეკლარაციაში ჩამოთვლილ უფლებათა და თავისუფლებათა მთლიანად განხორციელება. ყოველ ადამიანს აქვს მოვალეობანი საზოგადოების წინაშე, რადგან მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი მისი პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარება. » (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, გაერო, 1948 წლის 10 დეკემბერი).

სასკოლო დაწესებულება გახლავთ სამუშაო და სამეცადინო ადგილი, სადაც თითოეული მოსწავლე ყალიბდება ადამიანად და მოქალაქედ. შინაგანაწესის მიზანია ამ მუშაობის ორგანიზება, საერო და დემოკრატიული სამოქალაქო თვითშეგნების ჩამოყალიბება, ყველა ცხოვრებისეული ასპექტის მიმართ გახსნილი სწავლების გარანტირება.

მეორე მხრივ, შინაგანაწესმა ხელი უნდა შეუწყოს ყველა დაინტერესებულ მხარეს (პერსონალი, მშობლები, მოსწავლეები) შორის ნდობისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს ჩამოყალიბებას, რაც აუცილებელი გახლავთ განათლების მისაღებად და სამუშოდ. მისი მიზანია ასევე, რომ სასკოლო პირობებში განავითაროს თვითდისციპლინა და მოქალაქეობრივი დამოკიდებულება, პასუხისმგებლობის გრძნობა.

**ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ**
კავკასიის ფრანგულ სკოლაში მიღებული განათლება შესაბამისობაშია ოფიციალურ ფრანგულ პროგრამებთან. კავკასიის ფრანგული სკოლა ასევე ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პედაგოგიურ მითითებებს.

სკოლაში სასწავლო პროცესში თუ სოციოკულტურული აქტივობების დროს მიღებული ინფორმაცია და ცოდნა მკაცრად უნდა იცავდეს პოლიტიკური, იდეოლოგიური და რელიგიური ნეიტრალიტეტის პრინციპებს.

დაწესებულების ხელმძღვანელს პერიოდულად შეეძლება სასწავლო ან სოციოსაგანმანათლებლო აქტივობების ფარგლებში მოიყვანოს სკოლაში სხვა პერსონალიები.

***შეფასება***
საბავშვო ბაღისა და დაწყებითი სკოლის მუშაობის შეფასება იძლევა საშუალებას, რომ სწავლაში, ქცევასა და სოციალურ ურთიერთობებში ბავშვის განვითარებას თვალყური მიედევნოს. სასკოლო ტრიმესტრული დღიური უნარ-ჩვევების შეძენას აჯამებს და ბავშვის პროგრესს გვიჩვენებს. დღიურის მშობლებისთვის გაცნობა ხდება თითოეული ბავშვისათვის ინდივიდუალურად მოწყობილი მშობლებისა და მასწავლებლების კრებისას.

**კლასის საბჭო**
ლიცეუმსა და კოლეჯში ტრიმესტრში ერთხელ იკრიბება კლასის საბჭო კლასთან დაკავშირებული ყველა საკითხის განსახილველად. იგი მოსწავლეთა ინდივიდუალურ მოსწრებას აკონტროლებს. საბჭოს შემადგენლობაში შედიან მასწავლებლები, დაწესებულების ხელმძღვანელი, ზედამხედველების წარმომადგენელი, მოსწავლეები და მოსწავლეთა მშობლების წარმომადგენელი. მე-7 კლასის მოსწავლეთა მშობელების პრეროგატივაა შემდეგ კლასში მოსწავლეების გადაყვანის ან ჩატოვების გადაწყვეტილების მიღება. ფრანგული კანონმდებლობის თანახმად, მე-6, მე-8 და მე-9 კლასიდან გადაყვანაზე ან კლასში ჩატოვებაზე პასუხისმგებელი გახლავთ მხოლოდ დაწესებულების ხელმძღვანელი, კლასის საბჭოს პოზიციის დაფიქსირების შემდეგ. ლიცეუმში კლასიდან კლასში მოსწავლეების გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დისტანციური სწავლების ეროვნული ცენტრი (CNED). თუმცა კლასის საბჭოს შეუძლია მისცეს მას რეკომენდაციები.

**ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ**

***ჩაწერა***
დაწესებულებაში რეგისტრში ბავშვების ჩაწერა ხდება შემდეგი დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე:

- სათანადოდ შევსებული ჩაწერის ბარათი და 1 ფოტოსურათი.
- პასპორტის, პირადობის მოწმობის ან დაბადების მოწმობის ასლი.
- სავალდებულო აცრების (დიფტერია/ტეტანოსი/ყივანახველა და პოლიომიელიტი) ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტი (ჯანმრთელობის ისტორია ან ვაქცინაციის დამადასტურებელი ცნობა) ან აცრების მიმართ უკუჩვენებების დამადასტურებელი ცნობა და ბავშვის ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა.
- სხვა - საჯარო ან კერძო - სკოლიდან გადმოსვლის შემთხვევაში, ცნობა სკოლიდან გადასვლის შესახებ და სასკოლო მოსწრების ან ნიშნების ფურცლის ასლი.

***სწავლის გადასახადი***
სკოლაში ჩაწერა ძალაში შედის ჯერ ჩაწერის ხარჯების, შემდეგ კი სწავლის გადასახადის დაფარვის მომენტიდან. სწავლის გადასახადის გადახდა ხორციელდება სამ ეტაპად, თითოეული ტრიმესტრის დასაწყისში, კავკასიის ფრანგული სკოლის საბანკო ლარების ან ევროების ანგარიშზე (ეს უკანასკნელი შეიძლება მოხდეს გადმორიცხვით მხოლოდ საზღვარგარეთიდან).
**სავალდებულოა** სწავლის გადასახადის გადახდა ტრიმესტრის დაწყებიდან თხუთმეტი დღის განმავლობაში, რათა გარანტირებული იქნას სკოლის ნორმალური ფუნქციონირება. ადმინისტრაციასთან განსაკუთრებული შეთანხმების გარეშე გადასახადის დაფარვის ყოველგვარი დაგვიანება გამოიწვევს ფინანსურ სანქციას და მოსწავლის გარიცხვასაც კი, მმართველი კომიტეტის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

***სკოლაში მიღება***
სკოლაში მიიღებიან ბავშვები, რომელთაც სწავლის დაწყების მომენტისთვის 3 წელი შეუსრულდათ და პირად ჰიგიენას იცავენ. სათანადო პირობების არსებობის შემთხვევაში (მოსწავლეების რაოდენობა, კლასები, პერსონალი), გამონაკლისის სახით სკოლაში შეიძლება დაშვებულ იქნან ბავშვები, რომელთაც 3 წელი შეუსრულდებათ სწავლის დაწყებიდან რამდენიმე კვირაში და არაუგვიანეს იმავე წლის 31 დეკემბრისა. ყველაზე გვიან მიღება დასაშვებია იანვარში, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა, როგორიც გახლავთ სხვა სკოლიდან გადმოსვლა.

**ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ**
***განრიგი***

სკოლაში შესვლა: 8სთ45-დან – კლასებში ასვლა: 8სთ55-ზე – გაკვეთილების დაწყება: 9სთ-ზე.
საბავშვო ბაღის პატარა განყოფილების მოსწავლეები სკოლაში დარჩებიან თავდაპირველად დილაობით, სათანადო შეგუებისა და მასწავლებლის თანხმობის შემდგომ კი – ნაშუადღევსაც.

*კოლეჯისა და ლიცეუმის განრიგი შემდეგია :*

| | | | |
|---|---|---|---|
| **08:53** | პირველი ზარი | **13:05 - 13:55** | სადილის შესვენება |
| **8:55 - 9:50** | გაკვეთილი | | |
| **9:50 - 9:55** | მოკლე ინტერვალი | **13:55 - 14:00** | მოკლე ინტერვალი |
| **9:55 - 10:50** | გაკვეთილი | **14:00 - 14:55** | გაკვეთილი |
| **10:50 - 11:05** | შესვენება | **14:55 - 15:00** | მოკლე ინტერვალი |
| **11:05-11:10** | მოკლე ინტერვალი | **15:00 - 15:55** | გაკვეთილი |
| **11:10 - 12:05** | გაკვეთილი | **15:55 - 16:05** | შესვენება |
| **12:05 - 12:10** | შესვენება | **16:05 - 16:10** | მოკლე ინტერვალი |
| **12:10 - 13:05** | გაკვეთილი | **16:10 - 17:05** | გაკვეთილი |

***მოსვლა და წასვლა***
მხოლოდ საბავშვო ბაღის მოსწავლეების მშობლებს შეუძლიათ მანქანით ჩამოსვლა სკოლის პარკინგამდე. გადატვირთული მოძრაობის შემთხვევაში მანქანები უნდა გააჩერონ აღმართზე პარკინგამდე.
სხვა მოსწავლეები ფეხით ჩამოდიან ჭავჭავაძის გამზირიდან ჩამოსასვლელი კიბით.
დაწყებითი და საშუალო სკოლის მოსწავლეების მშობლებს ვთხოვთ, არ შევიდნენ სკოლაში ჰოლის იქით, თუ მასწავლებელთან ან დირექციის წარმომადგენელთან არ აქვთ შეხვედრა.
<u>საბავშვო ბაღის მოსწავლეების</u> მშობლებს ან მათზე პასუხისმგებელ პირებს ბავშვები მიჰყავთ კლასამდე და გამოჰყავთ კლასიდან გაკვეთილების დასრულების შემდეგ.
<u>დაწყებითი სკოლის მოსწავლეები</u> დილით ჰოლში იკრიბებიან და ელოდებიან მასწავლებელს, რომელიც მათ კლასში თავად წაიყვანს.
<u>საშუალო სკოლის მოსწავლეები</u> თავად ადიან საკუთარ კლასებში.

***დასწრება***
სკოლაში ჩაწერა გულისხმობს ოჯახის მიერ ნაკისრ ვალდებულებას **რეგულარულ დასწრებაზე**, რაც პედაგოგიური თვალსაზრისით აუცილებელი გახლავთ საბავშვო ბაღის ასაკიდანვე.

**მნიშვნელოვანია, რომ ბავშვები დროულად მოვიდნენ სკოლაში.**
სწავლაში ხელისშემშლელ ხშირ დაგვიანებებს მასწავლებელი საგანგებოდ განკუთვნილ ბარათში აღნუსხავს. მსგავსი დაგვიანებები შესაძლოა აისახოს შეფასებებზე და დაფიქსირდეს ნიშნების ფურცელში.

**გაცდენის შემთხვევაში** მშობლები გაცდენის მიზეზებსა და სავარაუდო ხანგრძლივობას ზედამხედეველს ტელეფონით ატყობინებენ გაცდენის პირველივე დღიდან. ხშირმა და გაუმართლებელმა გაცდენებმა შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის სკოლიდან გარიცხვა. სამედიცინო მიზეზით 4 დღეზე მეტის გაცდენის შემთხვევაში მშობლებმა უნდა წარმოადგინონ ჯანმრთელობის ცნობა, რომელიც შეინახება მოსწავლის დოსიეში.

სწავლის დროს სკოლიდან წასვლის უფლება დირექციამ შეიძლება გასცეს მშობლების წერილობითი თხოვნის საფუძველზე განსაკუთრებული და აუცილებელი სახის შემთხვევების დასაკმაყოფილებლად, განსაკუთრებით მაშინ, თუ მოსწავლეებს ესაჭიროებათ მკურნალობა ან საჭირო და კლასგარეშე ჩასატარებელი დამატებითი სამედიცინო პროცედურები.

***პლაგიატი***
პლაგიატში იგულისხმება სხვისი ნამუშევრის საკუთრად გამოცხადება, რაც სკოლის პრინციპს ეწინააღმდეგება. შესაბამისად კლასელის, სკოლელის ნამუშევრის ან ინტერნეტიდან გადმოღებული დოკუმენტის მითვისება მკაცრად იკრძალება და შეიძლება გამოიწვიოს სასჯელი ან სანქცია.

**ᲰᲘᲒᲘᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ**
***ჩაცმულობა***
მოსწავლეები დაწესებულებაში უნდა გამოცხადდნენ სუფთა და სწავლისათვის ადაპტირებული ტანსაცმლით :
**დაწყებითი სკოლა:**

- ფეხზე მომდგარი ფეხსაცმელი (საბოები და ქოშები აკრძალულია).
- ყველა სასკოლო აქტივობისათვის გამოსადეგი ტანსაცმელი: ბავშვები ყოველდღიურად ახორციელებენ ფიზიკურ, პერიოდულად კი დამსვრელ აქტივობებს (მაგალითად არასასურველია ტარება მეტისმეტად ვიწრო ან მეტისმეტად გრძელი ქვედაბოლოებისა, რომლებიც მოძრაობაში ხელს შეუშლით).
- გამოსაცვლელი ტანსაცმელი პატარა განყოფილების ბავშვებისათვის.
- სპორტული ფეხსაცმელი ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებისათვის

**კოლეჯი და ლიცეუმი :**

- სპორტული ფეხსაცმელი და ტანსაცმელი ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებისათვის

<u>შეუსაბამო ჩაცმულობის მქონე ბავშვებს დირექტორმა შეიძლება კლასში შეშვებაზე უარი უთხრას.</u>

***ავადმყოფობები***
უმჯობესია, რომ სიცხიანი, გაციებული, დაღლილი, ხველებიანი და ა. შ. მოსწავლე სახლში დარჩეს და კარგ პირობებში გამოჯანმრთელდეს.
ყველას (თქვენი შვილის, სხვა ბავშვებისა და სკოლის პერსონალის) კეთილდღეობისათვის უმჯობესია, რომ გავრცელებული უბრალო დაავადებებისა და გადამდები ინფექციური დაავადებების შემთვევაში მოსწავლეები სკოლაში დაბრუნდნენ საბოლოო განკურნებისა და დაავადების გადადების საფრთხის ჩავლის შემდეგ.
განსაკუთრებული შემთხვევა : «ტილები». ტილების გავრცელების თავიდან ასარიდებლად, მშობლებმა საკუთარი შვილების თმა პერიოდულად უნდა შეამოწმონ. ტილებისა და/ან წილების აღმოჩენის შემთხვევაში აუცილებელია მასწავლებლების გაფრთხილება.

***გადაუდებელი სამედიცინო დახმარება***

ოჯახმა ზუსტად უნდა შეავსოს წლის დასაწყისში დარიგებული გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ბარათის შესაბამისი რუბრიკები (აუცილებელია მინიმუმ სამი ტელეფონის ნომრის მითითება), რათა ოჯახს ან ოჯახის მიერ დასახელებულ პირებს დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ უბედური შემთხვევის ან მოსწავლის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის დროს.

**ᲣᲡᲐᲤᲠᲗᲮᲝᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲖᲦᲕᲔᲕᲐ**
**უსაფრთხოება და ჰიგიენა**

**სკოლაში აკრძალულია :**

- სახიფათო საგნები (წვეტიანი, მჭრელი, ხანძარსაშიში და ა. შ.).
- იარაღი.
- ძვირფასი ნივთები (სამკაულები, ძვირფასი სათამაშოები), რომლებიც შეიძლება დაიკარგოს ან მოიპარონ. სკოლა პასუხისმგებლობას არ იღებს ამ ნივთების დაკარგვასა და მოპარვაზე.
- მობილური ტელეფონებისა და სხვა ტიპის ელექტრონული აპარატურის გამოყენება სკოლაში ნებადართული არ არის, გარდა სამუშაო აუცილებლობისა. გამორთული ელექტრონული პარატურა აუცილებლად ჩანთაში უნდა ინახებოდეს. ამ წესის დარღვევის შემთხვევაში აპარატურა მოსწავლეს ჩამოერთმევა და გადაეცემა მშობლებს.
  **-ლიცეუმში** : მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ ელენტრონული აპარატურა მხოლოდ ლიცეუმის შეკრების ოთახში. მოსწავლეთა მხრიდან წესის დარღვევის შემთხვევაში (აპარატურის გამოყენება ნებადართული ზონის გარეთ...), დაწესებულების დირექტორის მიერ ეს უფლება მოსწავლეებს შეიძლება დროებით ან სამუდამოდ ჩამოერთვათ.
- ჰიგიენისა და უსაფრთხოების მიზნით ძაღლები (თასმით ან უთასმოდ) სკოლაში არ დაიშვებიან.
- აკრძლალულია სკოლის ტერიტორიაზე მოწევა.
- სავალდებულოა, მედიკამენტების მიღების შესახებ ინფორმაცია ექიმს მიეწოდოს.

*დაზღვევა*
**ჩაწერის დროს ოჯახი წევრიანდება სასკოლო დაზღვევაში, რომელიც სავალდებულო გახლავთ.**
ბავშვის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა ფარავს ბავშვის მიერ სკოლისათვის გამოწვეულ ზარალს, ხოლო ბავშვის ინდივიდუალური დაზღვევა ფარავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ბავშვი დამოუკიდებლად მიიღებს სხეულის დაზიანებას..

ᲙᲕᲔᲑᲐ
*წახემსება*
საბავშვო ბაღის ბავშვები დილით და ნაშუადღევს წაიხემსებენ. ეს მსუბუქი წახემსება არავითარ შემთხვევაში არ ცვლის ნამდვილ საუზმეს ან ვახშამს (განსაკუთრებით ეს ეხება საუზმეს. ბავშვმა სკოლაში მოსვლამდე უნდა ისაუზმოს სახლში). წახემსების ორგანიზებას მასწავლებლები ახდენენ და ბავშვისთვის ინდივიდუალურად საჭმლის გამოტანება საჭირო არ არის.
დილის შესვენებაზე დაწყებითი სკოლისა და საშუალო სკოლის მოსწავქლეებს უფლება აქვთ, შეჭამონ მხოლოდ ხილი და არანაირი სხვა საკვები.

*სადილი*
სასკოლო დაწესებულების მოსწავლეები 12სთ-დან 13სთ30-მდე სადილობენ.

*ტკბილეულობა*
მოსწავლეების ჯანმრთელობისა და სკოლაში სისუფთავის შენარჩუნების მიზნით, სკოლაში კანფეტები, საღეჭი რეზინები, საწუწნი კანფეტები ან გაზიანი სასმელები აკრძალულია.

ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

*პატივისცემა და დისციპლინა*
დაწესებულების მასწავლებლები და მთელი პერსონალი ქცევით, ჟესტით, სიტყვიერად არ გამოხატავენ გულგრილობას ან ზიზღს რომელიმე მოსწავლის ან მისი ოჯახის მიმართ. მათი ქცევა არ უნდა აყენებდეს ზიანს ბავშვების მგრძნობელობას.
ასევე მოსწავლეები და მათი ოჯახები ქცევით, ჟესტით, სიტყვიერად არ შეურაცხყოფენ სკოლის პერსონალის ფუნქციებს, მათ პიროვნებას თუ საკუთრებას. ისინი ასევე სათანადო პატივისცემას გამხატავენ სკოლის დანარჩენი მოსწავლეებისა და მათი ოჯახების მიმართ.
სასკოლო დაწესებულებაში აკრძალულია ჩხუბი, ერთმანეთისათვის შეურაცხყოფის მიყენება, ფურთხება.
სკოლა უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ბავშვის სოციალიზაციაში: აქ ყველაფერი გაკეთდება სოციალიზაციისათვის ხელშესაწყობად. მოსწავლე, რომელიც ცუდად მოიქცევა, ხანმოკლე პერიოდით და მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ, შეიძლება იზოლირებულ იქნას, რათა ჯგუფური ცხოვრებისთვის მისაღები ქცევა აღიდგინოს.
ბავშვის ცუდი ყოფაქცევის შემთხვევაში მასწავლებელი ან დირექცია მშობელს მიაწვდის ინფორმაციას. როდესაც სიტუაცია საგანგაშო ხდება, მასწავლებლები, მშობლები და დირექტორი იკრიბებიან, რათა ვითარება შეისწავლონ და გამოსავალი მონახონ.

მოსწავლეებმა უნდა დაიცვან სასკოლო ინვენტარი: ინვენტარის ნებისმიერი დაზიანება დაისჯება და მშობლებს ფინანსური ზარალის ანაზღაურება მოეთხოვება. კოლეჯის მოსწავლეების მიერ კარადის გასაღების დაკარგვის შემთხვევაში დუბლიკატის თანხის ანაზღაურება მშობლებს მოუწევთ. იგივე მოხდება, თუ მოსწავლეთა მიზეზით დაიკარგება, გაზიანდება ან გამოიცვლება მიმოწერის დღიური. იგივე ეხება ბიბლიოთეკიდან გატანილ წიგნებს.

კარგი სამუშაო პირობების შექმნის მიზნით და მოსწავლეების კეთილდღეობისათვის აუცილებელი გახლავთ ურთიერთპატივისცემა და ურთიერთნდობა. ეს კი მიიღწევა კოლექტიური ცხოვრების აუცილებლობებით შექმნილი სასკოლო წესების დაცვით.

**სასჯელები და სანქციები**

მოსწავლეებს გადაეცემა კარგი ქცევის კოდექსი, სადაც აისახება წინამდებარე შინაგანაწესის წესები.

სასკოლო სასჯელების მიცემა შეუძლიათ პედაგოგებს, ზედამხედველებს. პერსონალის მოთხოვნით, სასჯელის ფორმის დადგენ შეუძლია დაწესებულების ხელმძღვანელს, როცა მოსწავლეები არღვევენ წესებს. დასჯა ხდება კონკრეტულ შემთხვევებში, რის შესახებაც პერსონალი ინფორმაციას აწვდის დირექტორს.

დისციპლინარულ სანქციებს:

- ზეპირი ან წერილობითი გაფრთხილება
- საყვედური
- დროებითი ან საბოლოო გარიცხვა

ადგენს დაწესებულების ხელმძღვანელი. სანქციები გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ზიანი მიადგება პიროვნებებს, მატერიალურ ქონებას ან მოსწავლეთა წესების სერიოზული დარღვევისას.

*გადაადგილება დაწესებულების შიგნით და გარეთ*
ნებისმიერი გადაადგილება მშვიდად და წყნარად უნდა მოხდეს, რათა თითოეული ბავშვის უსაფრთხოება დაცული იყოს. ბავშვებმა შენობაში არ უნდა იყვირონ და ირბინონ. აკრძალულია დამცავ მოაჯირებზე გადახრა და აცოცება.

შუადღისას, შესვენებებზე და ინდივიდუალური მეცადინეობების დროს, ლიცეუმის მოსწავლეებს უფლება აქვთ დამოუკიდებლად გადაადგილდნენ მე-4 და მე-5 სართულებსა და ბიბლიოთეკაში (როდესაც ეს უკანასკნელი ღიაა).

მოსწავლეებს სასტიკად ეკრძალებათ აუზზე შესვლა უფროსის თანდასწრების გარეშე და ცურვის გაკვეთილებისათვის განკუთვნილი საათების შემდეგ.

დაწყებით სკოლაში შესვენებების დროს მოსწავლეებს თვალყურს ადევნებენ მასწავლებლები. კოლეჯსა და ლიცეუმში შესვენებების დროს მოსწავლეებს თავლყურს ზედამხედველები ადევნებენ.

მოსწავლეებმა დღის განმავლობაში არასოდეს უნდა დატოვონ სასკოლო დაწესებულება მშობლების წერილობითი ნებართვის გარეშე, სადაც განმარტებული იქნება, რა მიზეზით გაიყვანს ბავშვს ოჯახი.

ლიცეუმში, თუ მოსწავლეების მშობლები წლის დასაწყისში მოგვწერენ წერილობით თანხმობას, მათ უფლება ექნებათ შესვენებების ან სადილის დროს გავიდნენ დაწესებულებიდან. მოსწავლეები უნდა დაბრუნდნენ გაკვეთილის დაწყებამდე 10 წუთით ადრე. მოსწავლეთა მხრიდან დაგვიანებების შემთხვევაში ეს უფლება მათ დირექტორის გადაწყვეტილებით შეიძლება დროებით ან სამუდამოდ ჩამოერთვათ.

ნებისმიერი სასკოლო გასვლითი ღონისძიება (მუზეუმში წასვლა და სხვ.) უნდა ემცნოს ოჯახებს. მასწავლებლები მშობლებს ნებართვას თხოვენ, ზოგჯერ კი მოსწავლეების მოვლაში დახმარებასაც ითხოვენ (თუ მსგავსი თანამშრომლობა საჭიროა).

**მშობლების ინფორმირება, მათთან ურთიერთობა**

***მიმოწერა, ინფორმაციის გამოკვრა და კრებები***
ინფორმაციის გავრცელება ხდება საინფორმაციო პანოების, ცირკულარული წერილებისა და მიმოწერის დღიურის მეშვეობით. სასკოლო ცხოვრებაში ჩართული წევრები – მოსწავლეები, მშობლები და სკოლის პერსონალი – რეგულარულად უნდა გაეცნონ ამ ინფორმაციას.

მშობლებს კომუნიკაციის დამყარება შეუძლიათ მომიწერის დღიურის მეშვეობით, სადაც შეუძლიათ მოითხოვონ შეხვედრა მასწავლებელთან ან დირექციასთან.
მშობლების ან ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის მისამართის ან ტელეფონის ნებისმიერი ცვლილება უმოკლეს ვადებში უნდა ემცნოს სკოლას.

სასწავლო წლის დასაწყისში საინფორმაციო კრება ტარდება თითოეულ კლასში, რათა განხილულ იქნას მომავალ სასწავლო წელს შესასრულებელი სამუშაო და პედაგოგიური ფუნქციონირება.

სკოლაში ჩატარებული ყველა სახის კრებაზე საჭიროა დაწესებულების ხელმძღვანელის წინასწარი თანხმობა.
სკოლაში გამოკრული ინფორმაცია საჭიროებს დოკუმენტზე დაწესებულების ხელმძღვანელის ხელმოწერას. ინფორმაციის გამოსაკრავად საჭიროა ფრანგული ვერსიის წარდგენაც.
დაწესებულების ხელმძღვანელის ნებართვის გარეშე აკრძალული გახლავთ უფასო თუ ფასიანი ბუკლეტებისა და დოკუმენტების დარიგება სკოლასა და მის გარშემო.

**ინსტანციები**
*სკოლის საბჭო*
სკოლის საბჭო, რომელიც ტრიმესტრში ერთხელ იკრიბება, დაწყებითი სკოლის სასკოლო ცხოვრების შესახებ მსჯელობს. საბჭოს შემადგენლობაში შედიან მშობელთა არჩეული დელეგატები, მასწავლებლები და დირექტორი, რომელიც სხდომას უძღვება და დღის წესრიგს ადგენს.

*დაწესებულების საბჭო*
დაწესებულების საბჭოზე, რომელიც ყოველ ტრიმესტრში იკრიბება, კოლეჯსა და ლიცეუმზე მსჯელობენ. მის კომპეტენციაში შედის აგრეთვე ციკლთაშორისი ყველა საკითხი.
საბჭოს შემადგენლობაში შედიან მშობელთა არჩეული დელეგატები, მასწავლებლები, მოსწავლე, მუდმივი წევრები, საელჩოს კულტურის მრჩეველი, სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

*ლიცეუმის საბჭო*
ლიცეუმის საბჭო ტრიმსტრში მინიმუმ ერთხელ იკრიბება და ლიცეუმის მოსწავლეებს საშუალებას აძლევს აზრი გამოხატონ და წინადადებები შესთავაზონ დაწესებულების საბჭოს.
საბჭოში შედის ორი წლით არჩეული 5 ლიცეუმელი, რომელთა შემადგენლობის ნახევრის განახლება ხდება ყოველწლიურად და 5 უფროსი (მასწავლებელი, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მოსწავლეთა მშობლების წარმომადგენლები).
მათ კრებებს თავმჯდომარეობს დაწესებულების ხელმძღვანელი.
უფროსებს საკონსულტაციო უფლება აქვთ და კენჭისყრაში არ მონაწილეობენ. ლიცეუმის საბჭოს კრებას შეიძლება დაესწრონ სხვა ადამიანებიც ლიცეუმის მოსწავლეთა ნახევრის ან დაწესებულების დირექტორის ინიციატივით.

*მმართველი კომიტეტი*
მმართველი კომიტეტი იკრიბება წელიწადში მინიმუმ ორჯერ. მის კომპეტენციაში შედის საბიუჯეტო საკითხები და სკოლის საგარეო ურთიერთობები. კომიტეტი შედგება გადაწყვეტილების მიღების შემძლე 6 წევრისგან – 3 მუდმივი წევრი (საფრანგეთის საელჩო, ქართუ) და 3 არჩეული მშობელი, მოსწავლეთა მშობლების ასოციაციიდან. მეშვიდე წევრი, სათათბირო ხმის უფლებით არის დაწესებულების ხელმძღვანელი. ამ ინსტანციის სამუშაო ენა გახლავთ ფრანგული.